სტრატეგიული განვითარების გეგმა

2020/21-2026/27 აკადემიური წლები

სამოქმედო გეგმა

2020/21-2022/23 აკადემიური წლები

სარჩევი

2	შესავალი
4	დაგეგმვის მეთოდოლოგია
8	SWOT ანალიზი
13	მისია და ხედვა
14	ღირებულებები
15	სტრატეგიული განვითარების გეგმა
26	სამოქმედო გეგმა
61	სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები



შესავალი

კავკასიის უნივერსიტეტის ისტორია იწყება 1998 წლიდან, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დაფინანსებით, ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ჩამოყალიბდა კავკასიის ბიზნესის სკოლა (CSB) და დაინერგა პირველი დასავლური ბიზნეს-განათლება საქართველოში. საქმიანობის დაწყებიდან მალევე ამოქმედდა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. 2004 წელს კი ბიზნესის სკოლის ბაზაზე ჩამოყალიბდა კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - კავკასიის უნივერსიტეტი.

დღესდღეობით კავკასიის უნივერსიტეტი აერთიანებს 10 სკოლას (ფაკულტეტს): ბიზნესის სკოლა (CSB), სამართლის სკოლა (CSL), მედიის სკოლა (CSM), ტექნოლოგიების სკოლა (CST), სახელმწიფო მართვის სკოლა (CSG), ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა (CSH), ტურიზმის სკოლა (CTS), მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლა (CMS), ეკონომიკის სკოლა (CSE) და განათლების სკოლა (CES). უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს ანიჭებს ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის ხარისხს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

კავკასიის უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის განათლებას, რომელსაც უზრუნველყოფს მაღალი აკადემიური კვალიფიკაციის, პრაქტიკული გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალისა და ეფექტური სასწავლო პროცესის კომბინაციით. კავკასიის უნივერსიტეტი მიზნად ისახავს, მოამზადოს დემოკრატიული ფასეულობებისა და ეთიკური ნორმების მიმდევარი კვალიფიციური

კადრები და ამით წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გაზიარებაში.

სასწავლო პროგრამების უმეტესობა შექმნილია წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. უნივერსიტეტი განუწყვეტლივ ზრუნავს სასწავლო პროცესში მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების მოზიდვა-ჩართვაზე. სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის კავკასიის უნივერსიტეტი მუდმივად აძლიერებს აკადემიურ-სამეცნიერო რესურსს და ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.

კავკასიის უნივერსიტეტის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებაში. მიზნის მისაღწევად ნერგავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს, აახლებს სასწავლო პროგრამებსა და მასალებს და ხელს უწყობს ინოვაციების დანერგვას.

კავკასიის უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს ევროპის, ამერიკისა და აზიის წამყვან უნივერსიტეტებთან. შესაბამისად, სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს საშუალება ეძლევათ, სისტემატურად გაიზიარონ საერთაშორისო გამოცდილება.

კავკასიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი 88%-ს აჭარბებს. ისინი დასაქმებულები არიან სახელმწიფო და კერძო კომპანიებში როგორც საქართველოში, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ქვეყნისა და საერთაშორისო დონეზე უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების შესაბამისად კავკასიის უნივერსიტეტი ანახლებს სტრატეგიული განვითარების გეგმას, რათა ამ გზით უზრუნველყოს უნივერსიტეტის მისიისა და ამოცანების შესაბამისობა მუდმივად ცვალებად გარემოსთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

2019-2020 აკადემიურ წელს შემუშავდა კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტი იმოქმედებს მომავალი 7 წლის განმავლობაში (2020/21 - 2026/27 აკადემიური წლები). ასევე, განისაზღვრა ის ძირითადი აქტივობები, რომლის შესრულებასაც გეგმავს კავკასიის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები მომავალი 3 წლის განმავლობაში (2020/21 – 2022/23 აკადემიური წლები).

დაგეგმვის მეთოდოლოგია

კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მიმდინარეობდა 2019-2020 წლის განმავლობაში დაინტერესებულ მხარეთა აქტიური ჩართულობით. პროცესს სათავეში ედგა კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ინიცირება, შესრულება და შედეგების განხილვა ხდებოდა სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტისა და ფუნქციათაშორისი სამუშაო ჯგუფის მიერ.

კავკასიის უნივერსიტეტმა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის შეარჩია სტრატეგიული რუკა - დაბალანსებული შედეგების ცხრილის / Strategic Map – Balanced Scorecard-ის მოდელი (მეთოდოლოგიის ავტორები: რ. კაპლანი, დ. ნორტონი). დაგეგმვის პროცესი წარმოდგენილია დიაგრამა 1-ზე.



დიაგრამა 1: სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპები

პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა სტრატეგიული დაგეგმვის ფუნქციათაშორისი სამუშაო ჯგუფი (შემდგომში ამ დოკუმენტში „სამუშაო ჯგუფი“). სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების ძირითად მიზნებს წარმოადგენდა:

- პროცესში ორგანიზაციის სხვადასხვა დეპარტამენტის ჩართულობის გაზრდა;
- გეგმის შემუშავებისას სხვადასხვა ფუნქციური რგოლის წარმომადგენლის ფასეული შეხედულებების, მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გენერირება;
- გეგმების იმპლემენტაციის ფაზაში მათი მხრიდან მეტი მხარდაჭერა და კოორდინაცია.

კავკასიის უნივერსიტეტის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან:

1. ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული დაგეგმვის დარგში
2. ვიცე-პრეზიდენტი მონიტორინგის და ადმინისტრაციულ დარგში
3. ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში
4. ვიცე-პრეზიდენტი მატერიალური რესურსების დარგში
5. ფინანსური დეპარტამენტის დირექტორი
6. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი
7. პერსონალის მართვის დეპარტამენტის დირექტორი
8. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დირექტორი
9. მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი
10. საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების დეპარტამენტის დირექტორი
11. სტუდენტური ღონისძიებებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

2020/21-2026/27 აკადემიური წლების სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა (შემდგომში ამ დოკუმენტში „დეპარტამენტი“), სამუშაო ჯგუფის მონაწილეობით, გამართა შეხვედრები უნივერსიტეტის დაინტერესებულ ჯგუფებთან. დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა ონლაინ გამოკითხვები, ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები, სადაც განიხილებოდა ამ თემასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი.

განხილვების შედეგად ჩამოყალიბდა შეხედულებები კავკასიის უნივერსიტეტის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და საქმიანობის შესახებ და უკვე შემდგომ მმართველმა საბჭომ დაამტკიცა მოდიფიცირებული მისია, ხედვა და ღირებულები.

გარემოში არსებული ძალებისა და ორგანიზაციის შიდა პროცესების შეფასების მიზნით დეპარტამენტმა ჩაატარა ე. წ. SWOT ანალიზი. შექმნა თითოეული დაინტერესებული მხარისთვის მორგებული SWOT კითხვარი და ჩაატარა გამოკითხვა. შედეგების საფუძველზე გამოავლინა კავკასიის უნივერსიტეტის წინაშე არსებული შესაძლებლობები და საფრთხეები (OT ნაწილი), უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები (SW ნაწილი) და დაიტანა შესაბამის მატრიცაზე. სამუშაო ჯგუფმა SWOT ანალიზის შედეგად განსაზღვრა გრძელვადიანი სტრატეგიული ამოცანები.

პარტნიორთა კრებამ მმართველმა საბჭოსთან ერთად განსაზღვრა და დაამტკიცა კავკასიის უნივერსიტეტის 3 ძირითადი სტრატეგიული მიმართულება (პრიორიტეტი), რომლის შესრულებისთვისაც იმოქმედებს უნივერსიტეტი მომავალი 7 წლის განმავლობაში:

- სამეცნიერო კვლევების ინტენსიფიკაცია და რელევანტობის გაზრდა
- სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება
- ინტერნაციონალიზაცია

დეპარტამენტმა, სამუშაო ჯგუფთან კოორდინაციითა და კავკასიის უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებული ჯგუფის (ადმინისტრაცია, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები) ჩართულობით, შეიმუშავა სტრატეგიული ამოცანების პირველადი ვარიანტი. დეპარტამენტმა ამოცანები დაიტანა სტრატეგიულ რუკაზე (Strategic Map). რუკა გვიჩვენებს ამოცანებს შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და ორგანიზაციის სტრატეგიის მთლიან სურათს ისეთი მნიშვნელოვანი განზომილებების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ფინანსური მდგრადობა, მომხმარებელზე ორიენტირებულობა, ახალი პროცესების შექმნა და არსებულის დახვეწა, თანამშრომელთა პროფესიული ზრდა, რესურსების ოპტიმიზაცია. სტრატეგიული ამოცანებისა და რუკის სამუშაო ვერსია განიხილა მმართველმა საბჭომ და განხილვისა და მოდიფიცირების შედეგად მიღებული საბოლოო ვერსია დაამტკიცა პარტნიორთა კრებამ.

პარტნიორთა კრების მიერ დამტკიცებულ სტრატეგიული ამოცანებს სტრუქტურულმა ერთეულებმა განუსაზღვრეს საზომი ინდიკატორები (KPI), სამიზნე

მაჩვენებელები და სამოქმედო გეგმის (აქტივობების) პირველადი ვერსია. ზემოთხსენებული მონაცემები დეპარტამენტმა გადაიტანა დაბალანსებული შედეგების ცხრილში (Balanced Scorecard). დაბალანსებული შედეგების ცხრილის პირველადი ვარიანტის შექმნის შემდეგ დეპარტამენტმა გასცა უკუკავშირი და შეიქმნა ცხრილის მოდიფიცირებული ვარიანტი. მმართველი საბჭოსგან მიღებული კომენტარების საფუძველზე შემუშავდა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტი, რომელიც დაამტკიცა პარტნიორთა კრებამ.

სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა შეიმუშავა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები[1], რომლის თანახმადაც დეპარტამენტი პერიოდულად გადახედავს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს და, საჭიროების შემთხვევაში, შეიტანს ცვლილებებს.

[1] სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ გვ. 61-64

SWOT ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის შიდა და გარე ფაქტორების გასაანალიზებლად სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა ჩაატარა უნივერსიტეტის SWOT ანალიზი. ანალიზის პროცესი მოიცავდა შემდეგ ძირითად ეტაპებს:

1. კვლევის მიზნის განსაზღვრა
2. სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა
3. კითხვარის შექმნა
4. საპილოტე გამოკითხვის ჩატარება
5. კითხვარის მოდიფიცირება
6. გამოკითხვის ჩატარება
7. შედეგების ანალიზი
8. შედეგებიდან გამომდინარე პირველადი სტრატეგიული ამოცანების ჩამოყალიბება

SWOT ანალიზის შედეგად გამოვლინდა უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები და, ამასთანავე, შესაძლებლობები და საფრთხეები, რამაც განაპირობა კონკრეტული სტრატეგიული ამოცანებისა და აქტივობების ჩამოყალიბება.



სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა შექმნა სპეციალური SWOT კითხვარები. სულ შეიქმნა 13 სახის კითხვარი. თითოეული კითხვარი ზუსტად იყო მორგებული სამიზნე ჯგუფზე და ითვალისწინებდა მათგან იმ კონკრეტული

ფაქტორების შეფასებას, რაც უშუალოდ მათ ეხებოდათ. რესპონდენტები იყვნენ კავკასიის უნივერსიტეტის მენეჯმენტის უმაღლესი რგოლი, ადმინისტრაციული თანამშრომლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. სულ გამოიკითხა 566 რესპონდენტი.

კითხვარი აერთიანებდა 5 შეკითხვას. პირველ სამი კითხვით გამოვლინდა კავკასიის უნივერსიტეტის შიდა ფაქტორები: ძლიერი და სუსტი მხარეები.

პირველ კითხვაში ჩამოთვლილი იყო კავკასიის უნივერსიტეტის შიდა ფაქტორები და რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ თითოეულის მნიშვნელოვნება შესაბამისი ქულით (1-დან 9 ქულის ჩათვლით). ამ შეკითხვის შედეგების ანალიზით გამოიკვეთა კავკასიის უნივერსიტეტის ძლიერი კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორები. მეორე კითხვით რესპონდენტები აფასებდნენ, სუსტ თუ ძლიერ მხარეს წარმოადგენდა თითოეული ფაქტორი კავკასიის უნივერსიტეტისათვის და თავიანთი აღქმის მიხედვით წერდნენ ქულებს (1-დან 9-ის ჩათვლით). მესამე კითხვაში თავად შეეძლოთ დაესახელებინათ ისეთი სუსტი ან ძლიერი დამატებითი ფაქტორი, რომელიც ჩამონათვალში არ შეხვდათ და შეეფასებინათ ანალოგიურად.

მიღებული შედეგების მიხედვით სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა ააგო მატრიცა *(იხილეთ დიაგრამა 2),* რომლის მიხედვითაც ფაქტორები განაწილდა 4 ზონაში:

1. ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც კავკასიის უნივერსიტეტის შედარებით სუსტ მხარეს წარმოადგენს;
2. ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც კავკასიის უნივერსიტეტის შედარებით ძლიერ მხარეს წარმოადგენს;
3. მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც კავკასიის უნივერსიტეტისთვის შედარებით ძლიერ მხარეს წარმოადგენს;
4. მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც კავკასიის უნივერსიტეტის შედარებით სუსტ მხარეს წარმოადგენს.



დიაგრამა 2: შიდა ფაქტორთა განაწილების მატრიცა

დიაგრამის გაანალიზების შემდეგ ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა მნიშვნელოვან ფაქტორებზე და გამოვლინდა კავკასიის უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები.

კავკასიის უნივერსიტეტის ძლიერი მხარე:

- უნივერსიტეტის ცნობადობა, რეპუტაცია /იმიჯი
- სწავლების პროცესი
- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილება
- ინდივიდუალური მიდგომა სტუდენტებთან
- ადმინისტრაციულ თანამშრომელთა პროფესიონალიზმი
- საერთაშორისო აღიარება და პარტნიორობა
- უნივერსიტეტის გაცვლითი და ორმაგი პროგრამები
- ფინანსური მხარდაჭერა (სასწავლო პროგრამების, კვლევითი პროექტების და ა. შ.)
- კურსდამთავრებულთა დასაქმება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე
- საკლასო აუდიტორიების აღჭურვილობა
- სოციალური სივრცეები
- IT ინფრასტრუქტურა

- სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილში თანამშრომელთა და სტუდენტთა დიდი ჩართულობა

კავკასიის უნივერსიტეტის სუსტი მხარე:

- საუნივერსიტეტო კვლევითი საქმიანობის არასაკმარისი ინტენსივობა (ფუნდამენტური კვლევა, გამოყენებითი კვლევა)
- საერთაშორისო კვლევითი პროექტების მცირე რაოდენობა
- ბიბლიოთეკის საკითხავი სივრცის სიმცირე

კითხვარის მეოთხე-მეხუთე იყო ღია ტიპის შეკითხვა და ეხებოდა გარე ფაქტორებს. რესპონდენტებს უნდა ჩამოეთვალათ გარემოში არსებული ფაქტორები, რომლებიც ხელსაყრელ პირობას (შესაძლებლობას) შექმნის კავკასიის უნივერსიტეტის ძლიერი კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისათვის მომავალი 3 წლის განმავლობაში. ხოლო მეხუთე კითხვა ითვალისწინებდა გარემოში არსებული ფაქტორების დასახელებას, რომლებიც კავკასიის უნივერსიტეტის ძლიერი კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისათვის ხელის შემშლელი იქნება ან/და წარმოადგენს საფრთხეს მომავალი 3 წლის განმავლობაში.

შედეგების გაანალიზების შემდგომ გამოვლინდა კავკასიის უნივერსიტეტის წინაშე არსებული შესაძლებლობები და საფრთხეები.

კავკასიის უნივერსიტეტის წინაშე არსებული შესაძლებლობები:

- ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი პროექტების გაზრდილი რაოდენობა
- უცხოელი სტუდენტების მიერ საქართველოში სწავლით დაინტერესება
- ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება (რომლის საშუალებითაც შესაძლებელია განათლების ახალი, ინოვაციური გზებით მიწოდება)
- განათლების რეფორმა - კრედიტების შემცირება საფეხურებზე

კავკასიის უნივერსიტეტის წინაშე არსებული საფრთხეები:

- ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემო
- კონკურენციის ზრდა - კონკურენტი უნივერსიტეტების/აკადემიური პროგრამების რაოდენობის ზრდა
- უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებით შექმნილი ბარიერები
- საქართველოში მკვლევარი აკადემიური პერსონალის სიმცირე
- დასაქმების ბაზრის გაჯერება - სამუშაო ადგილების ნაკლებობა, დასაქმების ხარისხის ვარდნა

მიღებული შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შემუშავდა კავკასიის უნივერსიტეტის პირველადი სტრატეგიული ამოცანები.

მისია

კავკასიის უნივერსიტეტის მისიაა კვლევებზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ხედვა

კავკასიის უნივერსიტეტის ხედვაა ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც ყველას თავისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობა ექნება, რაც მას საერთაშორისო აღიარებასა და ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული უნივერსიტეტის სახელს მოუპოვებს კავკასიის რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ.

ღირებულებები

1

ნოვატორული სულისკვეთება

ჩვენ გვსურს, მუდმივად ვიყოთ ნოვატორები ცოდნის შექმნასა და გაზიარებაში ისე, რომ ვპასუხობდეთ საზოგადოების საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

2

მრავალფეროვნება

ჩვენ გვსურს, ადგილობრივი თუ რეგიონული საზოგადოების წევრებს შევუქმნათ შესაძლებლობა, გაუგონ და პატივი სცენ მათ, ვისი თვალსაზრისი, ღირებულებები, წარმოდგენები, ტრადიციები და მსოფლმხედველობა განსხვავებულია. მხოლოდ განსხვავებული გამოცდილების, ისტორიის და თვალსაზრისის მქონე ადამიანებთან ურთიერთობით არის შესაძლებელი თანამედროვე სამყაროს შესახებ თვალსაწიერის გაფართოება.

3

აკადემიური თავისუფლება

ჩვენ ვქმნით აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებულ გარემოს, სადაც აკადემიური პერსონალი თავისუფალია ცოდნის შექმნასა და გადაცემის პროცესში.

4

ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებასთან სიახლოვე

ჩვენ პარტნიორობა გვსურს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო საზოგადოებასთან იმისთვის, რომ შევქმნათ და გავავრცელოთ რელევანტური ცოდნა სხვადასხვა მიმართულებით.

5

ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა

ჩვენ გვსურს ქართულ საზოგადოებას მივცეთ ცოდნა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებას და გაზრდის კონკურენტუნარიანობას.

სტრატეგიული განვითარების გეგმა

კავკასიის უნივერსიტეტში განისაზღვრა სამი ძირითადი სტრატეგიული პრიორიტეტი (მიმართულება), რომლის შესრულებისკენაც განაგრძობს უნივერსიტეტი სვლას მომავალი შვიდი წლის (2020/21 – 2026/27 აკადემიური წლების) განმავლობაში:

- სამეცნიერო კვლევების ინტენსიფიკაცია და რელევანტობის გაზრდა
- სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება
- ინტერნაციონალიზაცია

სამეცნიერო კვლევების ინტენსიფიკაცია და რელევანტობის გაზრდა

კავკასიის უნივერსიტეტი კვლევაზე ორიენტირებულია და ეს გაცხადებულია უნივერსიტეტის მისიაშიც. უნივერსიტეტი მხარს უჭერს სკოლებისა და კვლევითი ერთეულების, ასევე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ინდივიდუალურ კვლევით ინიციატივებს. შეიქმნა კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ფუნქციაა კავკასიის უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის წახალისება, ხელის შეწყობა და კოორდინირება. მოქმედებს კვლევების შიდა დაფინანსების სისტემა და სამიზნე ჯგუფებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია სამეცნიერო პროექტების შესახებ.

უნივერსიტეტი გეგმავს, რომ ამ მხრივ კიდევ უფრო გააძლიეროს ხელშეწყობა და გაზარდოს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების რიცხვი. ვინაიდან კავკასიის უნივერსიტეტის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, უმთავრესი ფუნქციაა ახალი ემპირიული ცოდნის შექმნა და უკვე დაგროვილის გავრცელება.

სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება

კავკასიის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარე, რაც საშუალებას იძლევა, სტუდენტებს შევთავაზოთ მაღალი ხარისხის, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე ორიენტირებული და თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამები. უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს სწავლების ხარისხზე და ამისათვის

უზრუნველყოფს პროგრამების საჭიროებისამებრ განახლებას, საუკეთესო აკადემიური პერსონალის მოზიდვა-შენარჩუნებას.

სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება კავკასიის უნივერსიტეტის ერთ-ერთი მახასიათებელია და ამავე მიდგომით გაგრძელდება მუშაობა შემდეგი აკადემიური წლების განმავლობაშიც.

ინტერნაციონალიზაცია

ინტერნაციონალიზაცია კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს გლობალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, საერთაშორისო აღიარების მოპოვებაზე და ეს ასახულია ჩვენს მისიასა და ხედვაში.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს საგანმანათლებლო პროგრამებში საერთაშორისო გამოცდილების გაძლიერებას, რომელიც მოიცავს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას, ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებსა და საერთაშორისო თანამშრომლობას კვლევითი პროექტების ფარგლებში. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და თანამშრომლობს მსოფლიოს არაერთ უნივერსიტეტთან. კავკასიის უნივერსიტეტი მიზნად ისახავს, ჰქონდეს მუდმივი პროგრესი ინტერნაციონალიზაციის კუთხით.

ზემოაღნიშნულ სტრატეგიულ მიმართულებებთან თანხვედრაში განისაზღვრა კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული ამოცანების ძირითადი ნაწილი. ისინი განაწილებულია სტრატეგიული რუკის (იხ. სტრატეგიული რუკა, გვ. 17) 4 ნიშნულში: ფინანსური ნიშნული, მომხმარებელთა ნიშნული, პროცესების ნიშნული და რესურსების ნიშნული. თითოეული სტრატეგიული ამოცანისთვის დადგინდა საზომი ინდიკატორები. საზომი ინდიკატორები არის ის პარამეტრები, რომელთა მეშვეობითაც შემოწმდება ამოცანის შესრულება. ყველა ინდიკატორი არის გაზომვადი და ეს სამომავლოდ ხელს შეუწყობს სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების ეფექტურ მონიტორინგს.

სტრატეგიული რუკა

სტრატეგიული პრიორიტეტები

- სამეცნიერო კვლევების ინტენსიფიკაცია და რელევანტობის გაზრდა
- სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება
- ინტერნაციონალიზაცია

ფინანსური ნიშნული

- **F1:** ფინანსური მდგრადობა
- **F2:** შემოსავლის ზრდა
- **F3:** შემოსავლის დივერსიფიკაცია

მომხმარებელთა ნიშნული

- **C1:** სტუდენტთა რაოდენობის მაქსიმიზაცია (ოპტიმიზაცია) საერთო შემოსავალის ზრდასთან მიმართებაში
- **C2:** სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებში ჩართულობის გაზრდა
- **C3:** ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება სტუდენტების დონეზე
- **C4:** სტუდენტთა კმაყოფილების უზრუნველყოფა და სტუდენტთა კმაყოფილებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი
- **C5:** სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნება და სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი
- **C6:** მაღალი აკადემიური პოტენციალისა და მოტივაციის მქონე სტუდენტთა კონტიგენტის მოზიდვაზე ზრუნვა-მხარდაჭერა

პროცესების ნიშნული

- **P8:** მართვის ელექტრონული სისტემების გაძლიერება
- **P9:** სტუდენტური სერვისების და სტუდენტთა უფლებების დაცვის მექანიზმების განვითარება-სრულყოფა
- **P10:** უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებაზე ზრუნვა
- **P11:** კავკასიის უნივერსიტეტის ბრენდის ცნობადობაზე, იმიჯსა და რეპუტაციაზე მუდმივი ზრუნვა
- **P12:** ორგანიზაციულ მართვაში ორგანიზაციული და ხარისხის კულტურის როლის გაძლიერება
- **P13:** საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვა
- **P1:** ადგილობრივი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის და საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებთან უნივერსიტეტის რესურსების და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა
- **P2:** კვლევითი საქმიანობის გაძლიერების ხელშეწყობა
- **P3:** ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე
- **P4:** ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება კვლევითი საქმიანობის დონეზე
- **P5:** ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი საგანმანათლებლო პროგრამების და პროექტების (მათ შორის ინოვაციური პროექტებისა და პროგრამების) შემუშავება-დანერგვა
- **P6:** ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი
- **P7:** სტუდენტური ცხოვრების და სხვადასხვა პროექტების (სოციალური, სპორტული, კულტურული, შემეცნებითი, პროფესიული) მხარდაჭერა

რესურსების ნიშნული

- **R1:** მაღალკვალიფიციური, სწავლებასა და/ან პრაქტიკაში მრავალწლიანი ადგილობრივი და/ან საერთაშორისო გამოცდილების აკადემიური პერსონალის მოზიდვა შენარჩუნებაზე მუდმივი ზრუნვა
- **R2:** საგანმანათლებლო და/ან კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო რესურსების განვითარება
- **R3:** ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დონეზე
- **R4:** აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო გარემოზე ზრუნვა და მათი პროფესიული განვითარების მუდმივი ხელშეწყობა
- **R5:** ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო გარემოზე ზრუნვა და მათ პროფესიულ განვითარების მუდმივი ხელშეწყობა
- **R6:** აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების უზრუნველყოფა და პერსონალის კმაყოფილებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი
- **R7:** საგანმანთლებლო და/ან კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება
- **R8:** უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება-გაფარ თოებაზე მიმართული მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელება

ფინანსური ნიშნულის ამოცანები

ფინანსურ ნიშნულში თავსდება ის სტრატეგიული ამოცანები, რომელებიც დაკავშირებულია კომპანიის ფინანსურ მიზნებთან. კავკასიის უნივერსიტეტში განისაზღვრა ფინანსური ნიშნულის სამი ძირითადი ამოცანა.

F1: ფინანსური მდგრადობა

საზომი ინდიკატორები:

- საოპერაციო მოგების მარჟა (EBITDA Margin)
- წმინდა მოგების მარჟა (Net Profit Margin)
- უკუგება კაპიტალზე (ROE)
- პროცენტის დაფარვის (ICR) კოეფიციენტი

F2: შემოსავლის ზრდა

საზომი ინდიკატორი:

- შემოსავლის ზრდის მაჩვენებელი

F3: შემოსავლის დივერსიფიკაცია

საზომი ინდიკატორები:

- უცხოელი (არარეზიდენტი) სტუდენტებისგან მიღებული შემოსავალი
- ახალი საინვესტიციო პროექტებიდან ფორმირებული შემოსავლის წილი

მომხმარებელთა ნიშნულის ამოცანები

მომხმარებელთა ნიშნულში ერთიანდება ის ამოცანები, რომლებიც ფოკუსირებულია სტუდენტებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ ნიშნულში განისაზღვრა ექვსი ძირითადი ამოცანა.

C1: სტუდენტთა რაოდენობის მაქსიმიზაცია (ოპტიმიზაცია) საერთო შემოსავალის ზრდასთან მიმართებაში

საზომი ინდიკატორები:

- მიღებულ სტუდენტთა რაოდენობის მაჩვენებელი

C2: სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებში ჩართულობის გაზრდა

საზომი ინდიკატორი:

- სამეცნიერო სასკოლო კონფერენციებში სტუდენტების მონაწილეობის მაჩვენებელი

C3: ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება სტუდენტების დონეზე

საზომი ინდიკატორები:

- ერაზმუს+ (Erasmus+) გაცვლით პროგრამაში სტუდენტთა მობილობის მაჩვენებელი (outgoing)
- ერაზმუს+ (Erasmus+) გაცვლით პროგრამაში სტუდენტთა მობილობის მაჩვენებელი (incoming)
- ბილატერალურ (Bilateral) გაცვლით პროგრამაში სტუდენტთა მობილობის მაჩვენებელი (outgoing)
- ბილატერალურ (Bilateral) გაცვლით პროგრამაში სტუდენტთა მობილობის მაჩვენებელი (incoming)
- ხარისხის მაძიებელი აქტიური სტატუსის საერთაშორისო სტუდენტთა რაოდენობის მაჩვენებელი უცხოენოვან პროგრამებზე
- მოკლევადიან საერთაშორისო პროგრამებში (საზაფხულო პროგრამები, მოკლევადიანი სასწავლო კურსები, საერთაშორისო კონკურსები) მონაწილე სტუდენტთა რაოდენობის მაჩვენებელი (outgoing)
- მოკლევადიან საერთაშორისო პროგრამებში (საზაფხულო პროგრამები, მოკლევადიანი სასწავლო კურსები, საერთაშორისო კონკურსები) მონაწილე უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის მაჩვენებელი (incoming)
- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებით პარტნიორების რაოდენობის მაჩვენებელი
- ერაზმუს+ (Erasmus+) გაცვლითი პროგრამებით პარტნიორების რაოდენობის მაჩვენებელი

C4: სტუდენტთა კმაყოფილების უზრუნველყოფა და სტუდენტთა კმაყოფილებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი

საზომი ინდიკატორები:

- სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი საუნივერსიტეტო სერვისებსა და რესურსებზე
- საგანმანათლებლო პროგრამით კმაყოფილების მაჩვენებელი
- ლექტორების შეფასების მაჩვენებელი

C5: სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნება და სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი

საზომი ინდიკატორები:

- სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი
- პროფესიით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი

- დამსაქმებლებთან გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმების მაჩვენებელი
- შეთავაზებული სამუშაო ვაკანსიების რაოდენობის მაჩვენებელი

C6: მაღალი აკადემიური პოტენციალისა და მოტივაციის მქონე სტუდენტთა კონტიგენტის მოზიდვაზე ზრუნვა-მხარდაჭერა

საზომი ინდიკატორები:

- გრანტის მფლობელ (გრანტოსან) სტუდენტთა მიღების მაჩვენებელი
- მიღებულ სტუდენტთა ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების საშუალო ქულის მაჩვენებელი

პროცესების ნიშნულის ამოცანები

პროცესების ნიშნულში გაწერილია სტრატეგიული ამოცანები, რომლებიც მიმართულია უნივერსიტეტის გამართული ფუნქციონირებისთვის - საგანმანათლებლო, კველევითი საქმიანობის, სტუდენტური სერვისების, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის სამუშაო პროცესების სრულყოფისაკენ.

P1: ადგილობრივი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის და საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებთან უნივერსიტეტის რესურსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა

საზომი ინდიკატორები:

- ავტორიზაციის სტატუსი
- აკრედიტებული პროგრამების რაოდენობის მაჩვენებელი
- საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე პროგრამების რაოდენობის მაჩვენებელი

P2: კვლევითი საქმიანობის გაძლიერების ხელშეწყობა

საზომი ინდიკატორები:

- კვლევის შიდასაუნივერსიტეტო კონკურსში წარდგენილი პროექტების რაოდენობის მაჩვენებელი
- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილი პროექტების მაჩვენებელი
- სამეცნიერო და პროფესიულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების მაჩვენებელი
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მაჩვენებელი

- პროფესიული წიგნების გამოქვეყნების მაჩვენებელი
- საგრანტო პროექტის მომზადების მაჩვენებელი
- ქეისის/კაზუსის შედგენის მაჩვენებელი
- ელექტრონული ბაზების მოხმარების მაჩვენებელი

P3: ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე

საზომი ინდიკატორები:

- აკრედიტებული უცხოენოვანი პროგრამების რაოდენობის მაჩვენებელი
- ქართულენოვან აკრედიტებულ პროგრამაში უცხოენოვანი კურსების მაჩვენებელი
- ერთობლივი პროგრამების რაოდენობის მაჩვენებელი (Dual degree or/and double degree or/and joint degree)

P4: ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება კვლევითი საქმიანობის დონეზე

საზომი ინდიკატორები:

- საერთაშორისო კვლევითი პროექტების რაოდენობის მაჩვენებელი
- საერთაშორისო ჟურნალებში (ციტირებისა და აბსტრაქტების მონაცემთა ბაზებში ინდექსირებულ) გამოქვეყნების მაჩვენებელი
- აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მაჩვენებელი
- კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობის მაჩვენებელი

P5: ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი საგანმანათლებლო პროგრამების და პროექტების (მათ შორის ინოვაციური პროგრამებისა და პროექტების) შემუშავება-დანერგვა

საზომი ინდიკატორები:

- ახალი აკადემიური პროგრამების რაოდენობის მაჩვენებელი
- ახალი ინოვაციური პროექტების რაოდენობის მაჩვენებელი
- ტრენინგების რაოდენობის მაჩვენებელი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე
- ახალი საგრანტო სტარტაპ-პროექტების განაცხადების შეტანის მაჩვენებელი
- დაფინანსებული სტარტაპ-პროექტების მაჩვენებელი
- სამეწარმეო-საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულ პირთა რაოდენობის მაჩვენებელი

P6: საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება და ხარისხის გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი

საზომი ინდიკატორები:

- სტუდენტების GPA-ის მაჩვენებელი
- CU გრანტის მფლობელთა GPA-ის მაჩვენებელი
- სახელმწიფო გრანტის მფლობელთა GPA-ის მაჩვენებელი
- კურსდამთავრებულთა GPA-ის მაჩვენებელი

- ლექტორების შეფასების მაჩვენებელი
- სასწავლო კურსის შეფასების მაჩვენებელი
- პროგრამის დასრულების მაჩვენებელი (Graduation Rate)
- 20%-ზე მეტი "F" - სასწავლო კურსების რაოდენობის მაჩვენებელი

P7: სტუდენტური ცხოვრების და სხვადასხვა პროექტების (სოციალური, სპორტული, კულტურული, შემეცნებითი, პროფესიული) მხარდაჭერა

საზომი ინდიკატორები:

- სტუდენტური ღონისძიებების (სოციალური, სპორტული, კულტურული, შემეცნებითი, პროფესიული) რაოდენობის მაჩვენებელი
- დაფინანსებული სტუდენტური პროექტების მაჩვენებელი

P8: მართვის ელექტრონული სისტემების გაძლიერება

საზომი ინდიკატორები:

- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამების განახლების სტატუსი
- პერსონალის მართვის ელექტრონული პროგრამების განახლების სტატუსი

P9: სტუდენტური სერვისების და სტუდენტთა უფლებების დაცვის მექანიზმების განვითარება-სრულყოფა

საზომი ინდიკატორები:

- ნიშნების ვადაგადაცილებით შეტანის მაჩვენებელი
- სილაბუსების ვადაგადაცილებით ატვირთვის მაჩვენებელი
- ლექტორების მიერ გაცდენილი ლექცია-სემინარების მაჩვენებელი
- საგამოცდო ნაშრომების გაპროტესტების მაჩვენებელი

P10: უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებაზე ზრუნვა

საზომი ინდიკატორები:

- საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობის მაჩვენებელი
- საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობის რაოდენობის მაჩვენებელი
- განათლების საერთშორისო გამოფენებში მონაწილეობის მაჩვენებელი
- განათლების ავტორიტეტულ სარეიტინგო სისტემებში უნივერსიტეტის და/ან სკოლების და/ან პროგრამების პოზიციის მაჩვენებელი

P11: კავკასიის უნივერსიტეტის ბრენდის ცნობადობაზე, იმიჯსა და რეპუტაციაზე მუდმივი ზრუნვა

საზომი ინდიკატორები:

- ბრენდის ცნობადობის დონის მაჩვენებელი
- გამომწერების რაოდენობის მაჩვენებელი
- მედია დაფარვის მაჩვენებელი

P12: ორგანიზაციულ მართვაში ორგანიზაციული და ხარისხის კულტურის როლის გაძლიერება

საზომი ინდიკატორები:

- ორგანიზაციული კულტურის მაჩვენებელი
- უნივერსიტეტის ტოპ-მენეჯმენტის შეხვედრების რაოდენობის მაჩვენებელი დაინტერესებულ მხარეებთან (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ადმინისტრაცია)

P13: საზოგადოებაზე დადებითი ზეგავლენის მქონე პროექტების განხორციელება

საზომი ინდიკატორები:

- CSR აქტივობების რაოდენობის მაჩვენებელი
- საქველმოქმედო ღონისძიებების რაოდენობის მაჩვენებელი

P14: კურსდამთავრებულებთან მთელი სიცოცხლის მანძილზე (lifelong) კავშირის უზრუნველყოფა და განვითარება

საზომი ინდიკატორები:

- საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობის მაჩვენებელი
- შეთავაზებული ღონისძიებების მაჩვენებელი
- კურსდამთავრებულთა მონაწილეობით ექსტრაკურიკულარული აქტივობების (სტუმრის საათი, საჯარო ლექცია, აბიტურიენტებთან შეხვედრა) რაოდენობის მაჩვენებელი
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალში კურსდამთავრებულის რაოდენობის მაჩვენებელი

რესურსების ნიშნულის ამოცანები

რესურსების ნიშნულში გაწერილია სტრატეგიული ამოცანები, რომელებიც ეხება იმ ძირითად რესურსებს, რაც საჭიროა საგანმანათლებლო და კვლევითი აქტივობების გამართული მიმდინარეობისთვის. ამ ნიშნულში განისაზღვრა რვა ძირითადი სტრატეგიული ამოცანა.

R1: მაღალკვალიფიციური, სწავლებასა და/ან პრაქტიკაში მრავალწლიანი ადგილობრივი და/ან საერთაშორისო გამოცდილების აკადემიური პერსონალის მოზიდვა-შენარჩუნებაზე მუდმივი ზრუნვა

საზომი ინდიკატორები:

- ახალი მოწვეული პერსონალის რაოდენობის მაჩვენებელი
- აყვანილი აკადემიური პერსონალის რაოდენობის მაჩვენებელი
- მოწვეულ ტრენერთა რაოდენობის მაჩვენებელი

R2: საგანმანთლებლო და/ან კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო რესურსების განვითარება

საზომი ინდიკატორები:

- წიგნადი ფონდის რაოდენობა
- ელექტრონული ბაზების რაოდენობა
- პლაგიატის ამომცნობი პლატფორმების გამოყენების მაჩვენებელი

R3: ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დონეზე

საზომი ინდიკატორები:

- გაცვლით პროგრამებში მონაწილე აკადემიური პერსონალის რაოდენობის მაჩვენებელი (outgoing)
- გაცვლით პროგრამებში მონაწილე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის მაჩვენებელი (outgoing)
- გავცლით პროგრამებში მონაწილე აკადემიური პერსონალის რაოდენობის მაჩვენებელი (incoming)
- გაცვლით პროგრამებში მონაწილე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის მაჩვენებელი (incoming)
- უცხოელი ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის მაჩვენებელი
- სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალის რაოდენობის მაჩვენებელი

R4: აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო გარემოზე ზრუნვა და მათი პროფესიული განვითარების მუდმივი ხელშეწყობა

საზომი ინდიკატორი:

- პროფესიული ტრენინგებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებელი

R5: ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო გარემოზე ზრუნვა და მათი პროფესიული განვითარების მუდმივი ხელშეწყობა

საზომი ინდიკატორები:

- პროფესიული ტრენინგებში ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებელი
- შესრულებული სამუშაოს შეფასების მაჩვენებელი (360°-იანი შეფასება)

R6: აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების უზრუნველყოფა და პერსონალის კმაყოფილებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი

საზომი ინდიკატორები:

- აკადემიური პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელი
- ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელი
- აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი (Retention Rate)
- მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი (Retention Rate)
- ადმინისტრაციული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი (Retention Rate)

R7: საგანმანთლებლო და/ან კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება

საზომი ინდიკატორები:

- კვლევითი ცენტრებისა და პრაქტიკის ობიექტების რაოდენობის მაჩვენებელი
- საგრანტო პროექტის ფარგლებში მოზიდული რესურსის მაჩვენებელი
- ბიბლიოთეკის ახალი შენობის სტატუსი

R8: უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება-გაფართოებაზე მიმართული მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელება

საზომი ინდიკატორები:

- ბათუმის ახალი კამპუსის მშენებლობის სტატუსი
- საუნივერსიტეტო საავადმყოფოს მშენებლობის პროექტის დამტკიცების სტატუსი

სამოქმედო გეგმა

კავკასიის უნივერსიტეტის 3-წლიანი სამოქმედო გეგმა (2020/21-2022/23 აკადემიური წლები) შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის საფუძველზე. სამოქმედო გეგმაში დეტალურადაა გაწერილი სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულებისთვის საჭირო განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები და და კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები.

სამოქმედო გეგმა (განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები და აქტივობებზე პასუხისმგებელი უსდ-ს სტრუქტურული ერთეულები სახით) მოიცავს უსდ-ს ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა ასპექტს, რომელიც მეთოდოლოგიურად ასახულია სტრატეგიული რუკის ოთხი ნიშნულის (ფინანსური ნიშნული, მომხმარებელთა ნიშნული, პროცესების ნიშნული და რესურსების ნიშნული) შესაბამის სტრატეგიულ ამოცანებთან მიმართებაში.

პარტნიორთა კრების მიერ სტრატეგიული ამოცანების დამტკიცების შემდეგ ყველა ძირითადი სტრუქტურული ერთეულისთვის განისაზღვრა ამოცანები, რომლებთან დაკავშირებითაც მათ დაგეგმეს კონკრეტული აქტივობები სამწლიან ჭრილში.

სამოქმედო გეგმის დამტკიცების პროცესი წარიმართა ქვემოდან-ზემოთ მიდგომით (bottom up), რაც გულისხმობდა ტოპ-მენეჯმენტის მიერ ქვემოდან (სტრუქტურული ერთეულებიდან) წამოსული ინიციატივების მიღებას, განხილვას, საჭიროებისამებრ მოდიფიცირებასა და შეჯერება-დამტკიცებას. საბოლოოდ, სამოქმედო გეგმა განიხილა და დაამტკიცა პარტნიორთა კრებამ.

სამოქმედო გეგმა არის სამწლიანი და მასში შესაძლოა ყოველწლიურად შევიტანოთ ცვლილებები გეგმის შესრულების შედეგებიდან გამომდინარე.

C1: სტუდენტთა რაოდენობის მაქსიმიზაცია (ოპტიმიზაცია) საერთო შემოსავალის ზრდასთან მიმართებაში

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2020/21	2021/22	2022/23	
საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვების გაანალიზება	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
მომავალი აკადემიური წლის საბაკალავრო პროგრამებისთვის ფასების, შეთავაზებებისა და საკომუნიკაციო მესიჯების განსაზღვრა	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, ფინანსური დეპარტამენტი
საბაკალავრო პროგრამების სარეკლამო ბეჭდური და ელექტრონული მასალის მომზადება	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
საბაკალავრო საფეხურის პროგრამების პრეზენტაციის ჩატარება საჯარო და კერძო სკოლებში თბილისსა და რეგიონებში	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, სკოლები
საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება კამპუსში აბიტურიენტთათვის	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
საბაკალავრო პროგრამებზე მიმდინარე შემოხაზვების ანალიზი და რეაგირება	●	●	●	სკოლები, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
თბილისისა და რეგიონების სკოლებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვების გაანალიზება	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
მომავალი აკადემიური წლის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისთვის ფასების, შეთავაზებებისა და საკომუნიკაციო მესიჯების განსაზღვრა	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, ფინანსური დეპარტამენტი
სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სარეკლამო ბეჭდური და ელექტრონული მასალის მომზადება	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
სარეკლამო აქტივობების განხორციელება ონლაინ, სოციალურ და ბეჭდურ მედიაში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შესახებ	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

სამაგისტრო საფეხურის პროგრამების პრეზენტაციების ჩატარება კომპანიებში	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება სამაგისტრო პროგრამების გაცნობის მიზნით კამპუსში	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
კონკურსების, ტრენინგების, ვორკშოპების, ლექციების ორგანიზება აბიტურიენტებისთვის	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, სკოლები
სარეკლამო აქტივობების განხორციელება სოციალურ მედიაში ბათუმის კამპუსის შესახებ		●		მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
ბათუმის კამპუსის პროგრამებზე მიღების გაშიფვრა, შეთავაზებებისა და საკომუნიკაციო მესიჯების განსაზღვრა			●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

C2: სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებში ჩართულობის გაზრდა

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2020/21	2021/22	2022/23	
სტუდენტების ინფორმირება სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების (კონფერენციები, კვლევითი პროექტები, კვლევითი სტიპენდიები და ა. შ.) შესახებ	●	●	●	კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი, სკოლები
სტუდენტური კვლევითი ინიციატივების მხარდამჭერი სისტემის ფუნქციონირება	●	●	●	კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი
შიდა სასკოლო სტუდენტური კონფერენციის ორგანიზება-ჩატარება	●	●	●	კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი, სკოლები

C3: ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება სტუდენტების დონეზე

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2020/21	2021/22	2022/23	
სტუდენტების ინფორმირება გაცვლითი პროგრამების შესახებ	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების დეპარტამენტი
ახალი პარტნიორების (ბილატერალური) მოძიება და გაცვლითი ხელშეკრულებების გაფორმება	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების დეპარტამენტი, სკოლები
გაცვლითი ადგილების შენარჩუნება-გაზრდის მიზნით არსებულ პარტნიორებთან (ერაზმუს+, ბილატერალური) თანამშრომლობა	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების დეპარტამენტი
გაცვლითი პროგრამების ფარგლებში სტუდენტების დახმარების უზრუნველყოფა კონკურსისა და მობილობის პროცესში (before the mobility, during the mobility, after the mobility მომსახურების გაწევა)	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების დეპარტამენტი
უცხოელ სტუდენტთათვის მხარდამჭერი მომსახურების გაწევა (სავიზო პროცედურები, კურსების კატალოგი, ღონისძიებები და ა. შ.)	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების დეპარტამენტი
უცხოელი სტუდენტების ინტეგრაციასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელება (1. აკადემიურ პროცესში 2.სოციალური აქტივობების ნაწილში)	●	●	●	1. სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი 2. სტუდენტური ღონისძიებებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური
ინფორმაციის მოძიება საერთაშორისო პროექტებთან (საზაფხულო პროგრამები, მოკლევადიანი სასწავლო კურსები, საერთაშორისო კონკურსები და ა. შ.) დაკავშირებით და სამიზნე ჯგუფებთან გავრცელება	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების დეპარტამენტი
განათლების საერთაშორისო გამოფენებზე მონაწილეობის მიღება	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების დეპარტამენტი
რეკრუიტმენტ სააგენტოებთან თანამშრომლობა უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით	●	●	●	საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების დეპარტამენტი

C4: სტუდენტთა კმაყოფილების უზრუნველყოფა და სტუდენტთა კმაყოფილებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2020/21	2021/22	2022/23	
1. კმაყოფილების კითხვარის შექმნა საუნივერსიტეტო დონეზე მოწოდებულ სერვისებსა და რესურსებზე 2. გამოკითხვის ჩატარება 3. შედეგების ანალიზი 4. შედეგებზე რეაგირება	●	●	●	ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი
1. პროგრამებით კმაყოფილების კითხვარის შექმნა 2. გამოკითხვის ჩატარება 3. შედეგების ანალიზი 4. შედეგებზე რეაგირება	●	●	●	1. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი 2. სკოლები 3&4. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, სკოლები
1. სასწავლო კურსებისა და ლექტორების სემესტრული შეფასების კითხვარის შექმნა-მოდიფიცირება 2. გამოკითხვების ჩატარება 3. შედეგების ანალიზი 4. შედეგებზე რეაგირება	●	●	●	1&2. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი 3&4. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, სკოლები
შიდა და გარე მობილობით გადამსვლელ სტუდენტებთან ინდივიდუალური შეხვედრების გამართა, გადასვლის მიზეზების გამოკვლევა და რეაგირება	●	●	●	სკოლები
1. სტატუს-შეჩერებული სტუდენტების მიზეზების ინდივიდუალური გამოკვლევა 2. რეაგირება	●	●	●	1. სკოლები 1&2. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი და სკოლები
სტუდენტებთან სემესტრული შეხვედრების გამართვა, მათი პრობლემებისა და ინტერესების მოსმენა და რეაგირება	●	●	●	სკოლები

C5: სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნება და სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე მუდმივი ზრუნვა-კონტროლი

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2020/21	2021/22	2022/23	
სტაჟირების და დასაქმების შეთავაზებებისა და შეტყობინებების გავრცელება	●	●	●	კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური
დასაქმების ფორუმების ჩატარება დარგების მიხედვით	●	●	●	კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური
კარიერული წინსვლისთვის საჭირო უნარების განმავითარებელი ღონისძიებების (საჯარო შეხვედრა, მასტერკლასი, მოწვეული სპიკერის (Guest Speaker) სტუმრობა) ორგანიზება-ჩატარება	●	●	●	კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური, სკოლები
სტაჟირებებისა და სამსახურის ვაკანსიების კუთხით ახალი პარტნიორი კომპანიების მოძიება და მათთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება	●	●	●	კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური, სკოლები
არსებულ პარტნიორ კომპანიებთან თანამშრომლობა და მემორანდუმის შესრულების მონიტორინგი	●	●	●	კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური, სკოლები
1. სტუდენტთა დასაქმების კვლევის ჩატარება 2. შედეგების ანალიზი 3. შედეგებზე რეაგირება	●	●	●	1&2. კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური 3. კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური, სკოლები
1. კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის ჩატარება 2. შედეგების ანალიზი 3. შედეგებზე რეაგირება	●	●	●	1&2. კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური 3. კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური, სკოლები

C6: მაღალი აკადემიური პოტენციალისა და მოტივაციის მქონე სტუდენტთა კონტიგენტის მოზიდვაზე ზრუნვა-მხარდაჭერა

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2020/21	2021/22	2022/23	
მოქმედი დაფინანსების მექანიზმების (ტოპ-501, CU გრანტი) ოპტიმიზაცია	●	●	●	ფინანსური დეპარტამენტი
მაღალქულიანი აპლიკანტების შესახებ საინტერესო კონტენტის შექმნა და გავრცელება საკომუნიკაციო არხებში	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
წარმატების ისტორიების შესახებ საინტერესო კონტენტის შექმნა და გავრცელება	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
შიდა კონკურსებში გამარჯვებულ აბიტურიენტთათვის ვაუჩერების დაწესება და ოდენობის განსაზღვრა	●	●	●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, ფინანსური დეპარტამენტი
უნივერსიტეტის რეიტინგის მომზადება საშუალო საკონკურსო ქულის მიხედვით და გამოქვეყნება			●	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
მოქმედი სტუდენტების რეიტინგული დაფინანსების ოპტიმიზაცია	●	●	●	ფინანსური დეპარტამენტი

P1: ადგილობრივი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის და საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებთან უნივერსიტეტის რესურსების და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა

აქტივობა	შესრულების პერიოდი			პასუხისმგებელი
	2020/21	2021/22	2022/23	
ახალი საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციო პაკეტების მომზადება, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა და აკრედიტაციის მიღება (დეტალებისთვის იხ. დანართი 1, გვ. 55)	●	●	●	სკოლები, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი
არსებული საგანმანათლებლო პროგრამების რეაკრედიტაციისთვის პაკეტების მომზადება, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა და რეაკრედიტაციის მიღება	●	●	●	სკოლები, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი
